პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 18 (4268)

1971 წ. 27 იანვარი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



სსრ კავშირის ჩემპიონატი

„სპარტაკი" არ ხუმრობს

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ერთი მატჩი.

ლენინგრადი. გათამაშების ლიდერმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა" მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივს უმასპინძლა. ნევისპირელებმა ეს შეხვედრაც საკმაოდ იოლად მოიგეს (74:59) და კიდევ უფრო განიმტკიცეს სატურნირო მდგომარეობა.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 27 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	13	12	1	889—768	12
ცსკა	12	9	3	927—837	9
„ჟალგირისი" (კაუნასი)	13	9	4	1046—985	9
„დინამო" (მოსკოვი)	11	7	4	848—793	7
„სტროიტელი" (კიევი)	12	7	5	850—823	7
„კალევი" (ტარტუ)	12	5	7	944—926	5
„დინამო" (თბილისი)	11	5	6	823—880	5
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	11	5	6	791—828	5
ასკ (კიევი)	13	4	9	870—923	4
ვეფ (რიგა)	12	4	8	901—971	4
რტი (მინსკი)	12	3	9	773—856	3
ასკ (რიგა)	12	2	10	820—892	2

ახალი ამბები-71

● **ჩელიაბინსკი,** 25 იანვარი. ფრენბურთელ ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატს თამამად შეიძლება სენსაციების შეჯიბრება ვუწოდოთ. ჯერ იყო და შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორმა — ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" მწვავე, დაძაბულ ბრძოლაში წააგო ოდესის „ბურევესტნიკთან" (1:3), ხოლო შემდეგ სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ცსკა ასეთივე ანგარიშით დამარცხდა კრასნოდარელ დინამოელებთან. დღეს, მესამე ტურში, ოდესელი სტუდენტების გამარჯვებით დამთავრდა დავა შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორთან—დედაქალაქის „ლოკომოტივთან" (3:1). ესეც სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს. სსრ კავშირის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — მოსკოვის „დინამომ" „მშრალი" ანგარიშით (3:0) დაამარცხა კიევის „ბურევესტნიკი". სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კრასნოდარი) 3:1, ცსკა — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 3:1. სამი დღის ასპარეზობის შემდეგ 3 ქულით ლიდერობს მოსკოვის „დინამო".

● **მილანი,** 25 იანვარი. იტალიის ამ ქალაქის შემოგარენში გაიმართა ტრადიციული, 39-ე „ხუთი წისქვილის კროსი", რომელშიც სტარტი აიღეს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა მ. გამუდიმ (ტუნისი) და კ. კეინომ (კენია). მაგრამ ისინიც და სხვა მონაწილენიც ჩამოიტოვა იუგოსლაველმა მძლეოსანმა, 22 წლის დ. კორიცამ. 9500-მეტრიანი დისტანცია მან 31 წუთსა და 57,5 წამში გაირბინა, რაც კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს წვიმიანი ამინდისა და ატალახებული ტრასისთვის. კეინო ფინიშთან მეორე იყო — 32.02,1. III ადგილი დაიკავა ფ. შორტერმა (აშშ) — 32.17,0. გამუდიმ მხოლოდ მეხუთე შედეგი აჩვენა — 32.52,7. ქალები 4200-მეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ინგლისელმა რ. რიდლიმ — 8.44,8. ფინიშთან მხოლოდ მეექვსე იყო 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი კ. ბესონი (საფრანგეთი) — 9.24,5.

● **სან-ფრანცისკო,** 25 იანვარი. ადგილობრივ „კაუ-პალასის" დახურულ სტადიონზე ორი გიგანტის — ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენის, ამერიკელი რ. მათსონისა და მისი თანამემამულე ო. ფეიერბახის დუელი დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებით აღინიშნა — 21.00,5. ასე შორს გაგზავნა ბირთვი აიოვის შტატის წარმომადგენელმა, 23 წლის სტუდენტმა ფეიერბახმა, რომელმაც ამ შეჯიბრებამდე ცოტა ხნით ადრე დააგროვა საკუთარი „სარეკორდო" წონა — 110 კგ (მისი სიმაღლე 186 სანტიმეტრია). მათსონის შედეგია 20,93 მ, რაც ასევე სჯობს ძველ მსოფლიო მიღწევას (20,67 მ). სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია რ. ბრაუნის (აშშ) მაჩვენებელი სიმაღლეზე ხტომაში (218 სმ), მ. ტიფის (აშშ) გამარჯვება სამხტომში (16,04 მ) და სარბენ ბილიკზე თითქმის ორწლიანი „შესვენების" შემდეგ დაბრუნებული ბრწყინვალე მძლეოსნის, ერთ მილზე მსოფლიო რეკორდსმენის ჯ. რაიანის (აშშ) წარმატება „თავის" დისტანციაზე — 4.04,4.

● **ფილადელფია,** 25 იანვარი. პოლონელმა მძლეოსნებმა ა. ბადენსკიმ და ჰ. შორდიკოვსკიმ ამერიკის ამ ქალაქში უკან ჩამოიტოვეს მასპინძლები: ბადენსკიმ გაიმარჯვა 440 იარდზე რბენაში (50,4 წამი), ხოლო შორდიკოვსკიმ — ერთ მილზე — 4.06,5.

მასობრიობა ოსტატობის საწინდარია

25 იანვარს მოსკოვში ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გაფართოებულ პლენუმზე დიდი მსჯელობა გაიმართა საბჭოთა ფეხბურთის პრობლემებზე. პლენუმზე მიწვეული იყვნენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები. მოხსენებით — „სსრ კავშირში მასობრივი ფეხბურთის განვითარებისა და საბჭოთა ფეხბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლების ღონისძიებებზე" გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი.

— ახლა ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთს ოთხ მილიონზე მეტი კაცი მისდევს. სპორტის ეს სახეობა ჭეშმარიტად სახალხოდ იქცა. მასობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის დიდ მუშაობას ეწევიან რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების სპორტული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. უფრო პოპულარული გახდა ფეხბურთი სოფლად, განსაკუთრებით, შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში, სადაც ადრე ეს თამაში სუსტად იყო განვითარებული.

მაგრამ ნამდვილი მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები. ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციისა და სპორტული საზოგადოების საქმიანობა უმთავრესად იქითაა მიმართული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ოსტატთა შეჯიბრებაში მათი გუნდების მონაწილეობა. ამ დროს სპორტსმენთა ძირითად მასას, რომელიც ფიზკულტურის კოლექტივების სექციებში მეცადინეობს, საკმარისი ყურადღება არ ექცევა. ზოგან შეჯიბრებები გუნდების განცალკევებული ჯგუფებისთვის ეწყობა და დიდ, ზოგჯერ ზედმეტ მოგზაურობაში ტარდება.

არადა, ცნობილია, რომ მასობრიობის გარეშე ოსტატობა არ არსებობს. მაგალითად, თუ ჭაბუკთა ფეხბურთი სათანადო დონეზე არ არის განვითარებული, ოსტატთა გუნდები მაღალი კლასის რეზერვს ვერ მიიღებენ. ამაზე კი დამოკიდებულია საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ფეხბურთელების შედეგები.

საიდუმლო არ არის, რომ 1970 წელი ჩვენი ფეხბურთისთვის სერიოზული წარუმატებლობის წელი იყო. სსრ კავშირის ნაკრები არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. ჭაბუკთა ნაკრები ფეხბურთის ასოციაციების ევროპული კავშირის ფინალურ ტურნირშიც კი ვერ მოხვდა. „სპარტაკი" (მოსკოვი) და „კარპატი" (ლვოვი) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა პირველივე ეტაპზე დამარცხდნენ.

თავის დროზე არასწორი კურსი იყო აღებული „ა" და „ბ" კლასების ფეხბურთელთა გუნდების რიცხვის მკვეთრი ზრდის მხრივ.

მაგალითად 1960-დან 1968 წლებში სსრ კავშირის პირველობაში საასპარეზოდ დაშვებული გუნდების რიცხვი 33-დან 267-მდე ავიდა, ესე იგი, 8-ჯერ და მეტად გაიზარდა. ეს რიცხვი აშკარად არ შეესაბამებოდა საბჭოთა ფეხბურთის საერთო დონეს, ჩვენს ქვეყანაში კვალიფიციური ფეხბურთელებისა და მწვრთნელების რაოდენობას. იმის მაგიერ, რომ ყოველდღიურად გულმოდგინედ ემუშავათ ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოვლენის, შერჩევისა და აღზრდისთვის, ზოგიერთი კლუბი მოთამაშეთა გადაბირების გზას ადგა. გუნდიდან გუნდში სპორტსმენთა უსაფუძვლოდ გადასვლამ, ბუნებრივია, გამოიწვია კოლექტივების თამაშის კლასის დაქვეითება, ზიანი მიაყენა აღმზრდელობით მუშაობას. მუშაობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს მწვრთნელთა ხშირი ცვლა, კლუბებში კარგად მოწყობილი სასწავლო-საწვრთნელი ბაზების, ბალახისა და ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მინდვრების უქონლობა.

პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკური ფედერაციები სპორტულ საზოგადოებათა, უწყებათა და ფიზიკური კულტურის კოლექტივები, მთელი აქტივი დიდ შემოქმედებით ორგანიზატორულ მუშაობას გაშლიან, რათა ცხოვრებაში გაატარონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის 1970 წლის 31 აგვისტოს დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფეხბურთის განვითარებისა და საბჭოთა ფეხბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

პლენუმზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი.

პლენუმმა აირჩია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა — 19 კაცი. ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გრანატკინი.

(საკდესი).

დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ნაყოფიერად მუშაობს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებული სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო ამ სკოლის მუშაობის მომენტები.

სურათებზე: მარცხნივ — მ. მესხი ვარჯიშობს თავის აღსაზრდელებთან ერთად; მარჯვნივ — ნორჩ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი ტექნიკაზე მუშაობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თავმჯდომარე

თელავის რაიონის მშრომელები წარმატებით ხვდებიან სკკპ XXIV ყრილობას. რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. შრომაში მოწინავენი არიან იყალთოს რუსთაველის სახელობის, ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები, წინანდლისა და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობები. მაღალი მაჩვენებლები აქვთ ამ კოლექტივების სპორტსმენებსაც.

სწორედ მათი გულმოდგინე შრომის შედეგია, რომ „კოლმეურნის" თელავის რაიონულმა საბჭომ 1970 წელს მოამზადა 2 სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, 2 ოსტატობის კანდიდატი, 13 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების 266 სპორტსმენი. ერთი სიტყვით, თანრიგოსანთა მომზადების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს ვ. გაგნიძეს.

ვახტანგ გაგნიძე შეუპოვარი კაცია — დაწყებულ საქმეს თავს არ მიანებებს, უთუოდ ბოლომდე მიიყვანს. აი, მან დახმარებისთვის მიმართა ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. გაგუნაშვილს, რომელიც ფეხბურთის დიდი მოყვარულია. საუბარი იმით დამთავრდა, რომ კოლმეურნეობაში ფეხბურთის მინდორი მოაწყვეს, შემდეგ კი სპორტული მოედნებიც მოეწყო და 130 ფიზკულტურელმა სხვადასხვა სახეობაში ვარჯიში დაიწყო. ნაყოფიც კარგი გამოვიდა: კოლმეურნეობის ნაკრები ფიზკულტურული კოლექტივი რაიონის ჩემპიონი გახდა.

მართალია, ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელს ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით ფიზკულტურელთა უზრუნველყოფა თავის ღვიძლ საქმედ არ მიაჩნდა, მაგრამ ვახტანგი დაბეჯითებით, გულმოდგინედ უხსნიდა მათ ფიზიკური კულტურის დიდ მნიშვნელობას. დღეს თელავის რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საკუთარი სპორტული ბაზებია მოწყობილი.

ამჟამად დღის წესრიგშია უფრო ძნელი პრობლემა — ზამთრის ბაზების მშენებლობა. მაგრამ გვჯერა, რომ მონდომება და საქმის სიყვარული აქაც თავისას გაიტანს. ვახტანგს ერთგული თანაშემწეებიც ჰყავს. დავასახელოთ, მაგალითად, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები გ. ბოტკოველი (იყალთო), გ. მჭედლიშვილი (აკურა), საწარმოო ტანვარჯიშის 10 მეთოდისტი, რომელთა შორის გამოირჩევიან ჯ. ძამუკაშვილი (რუისპირი) და ბ. სამადაშვილი (ფშაველი).

მოჭიდავეთა მწვრთნელმა, 25 წლის შ. დალაქიშვილმა მოკლე დროში 2 სპორტის ოსტატი და 35 პირველთანრიგოსანი მოამზადა. ქართულ ჭიდაობაში „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში 7-წლიანი „შესვენების" შემდეგ თელაველებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო ი. ელოშვილი (102 კგ-ს იწონის) 1970 წელს რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ამ სახეობაში.

ექვსი თელაველი ძალოსანი (მწვრთნელი რ. საამოვი) „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია ჭაბუკთა შორის. რაიონში დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტის ამ სახეობის განვითარებას. 22 წლის დ. კახიძემ, რომელიც ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს, ხუთ თვეში გაიარა გზა ახალბედიდან რაიონის რეკორდსმენამდე და მალე ალბათ სპორტის ოსტატის მაჩვენებელსაც მიაღწევს.

თელაველთა შრომისმოყვარეობა მათი მომავალი წარმატებების საწინდარია.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

V სპარტაკიადა
1971

განიხილეს სპარტაკიადისთვის მზადების საკითხი

გორის სპორტული კოლექტივები დიდი პასუხისმგებლობით ემზადებიან რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის. საორგანიზაციო კომიტეტის თაოსნობით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომამ განიხილა ქალაქის ნაკრები გუნდების მზადების საკითხი. აღინიშნა, რომ ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებში სპორტსმენები კარგად ემზადებიან, მაგრამ ცალკეული გუნდების დაკომპლექტება დღემდე ჭიანურდება. ამ საქმისთვის შერჩეული პასუხისმგებელი პირები და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი არ ჩქარობენ. მოკრივეებს, მაგალითად, დღემდე ერთი საწვრთნელი მეცადინეობაც არ ჰქონდათ ჩატარებული. სათანადოდ არ მუშაობდნენ სასტენდო სროლის, ნიჩბოსნობის, მშვილდოსნობის წარმომადგენლები.

ფიზკულტურული ორგანიზაციების სპორტული ინვენტარითა და ფორმებით მომარაგების საქმეში უპასუხისმგებლობისთვის მკაცრად გააკრიტიკეს საქსპორტვაჭრობის გორის მაღაზია.

აღმასკომის სხდომაზე მიუთითეს ბამბეულის კომბინატის, საკონსერვო კომბინატისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს ხელმძღვანელებს, რომ ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ნაკრები გუნდების წევრებს.

სხდომის გადაწყვეტილებით, ბამბეულის კომბინატში შეიქმნება სასტენდო სროლის გუნდები. საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა, რომ აქედანვე იზრუნოს მათთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. გუნდის წევრებს შეუძინოს სპორტული იარაღი და ინვენტარი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო კონტორას წინადადება მიეცა დააჩქაროს სპორტული ბაზების რემონტი.

გორელი სპორტსმენები საიუბილეო სპარტაკიადაში 15 სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის: ქართულ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში, კალათბურთში, ფრენბურთში (გოგონები და ვაჟები), მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ტყვიის სროლაში და სხვ.

გადაწყდა, რომ რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის შერჩეული ნაკრები გუნდების საქალაქო დათვალიერება აპრილში მოეწყოს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

სარბიელზეა ახალი ტურნირი

ბაკურიანი, 25 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ის იყო დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება სამთოსათხილამურო სპორტში „ლელოს" პრიზზე, რომ ბაკურიანის სარბიელზე ახალი ტურნირი — საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის III სპარტაკიადა დაიწყო. მართალია, პროგრამის პირველ სახეობაში — ფიგურულ ციგურაობაში შეჯიბრება უფრო ადრე თბილისში გაიმართა, მაგრამ მთავარი ბატალიების ცენტრი, რასაკვირველია, მაინც ბაკურიანია.

შეჯიბრების მონაწილეებს საზეიმო აღლუმზე მიესალმა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ო. ცანავა. შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ „კოლმეურნის", „ბურევესტნიკის", „განთიადისა" და „სპარტაკის" ნაკრები კოლექტივები. ბრძოლა ხუთ დღეს გასტანს. მოზრდილები და იუნიორები ცალ-ცალკე ასპარეზობენ და გუნდებს ორივე ასაკის სპორტსმენები აძლევენ ჩათვლას.

დღევანდელი დღის პროგრამაში შედიოდა რბოლა 5 და 15 კმ-ზე, გიგანტური სლალომი და 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.

15 კმ-ზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ ყაზახეთის სპორტსმენები, რომლებიც აქ ბაკურიანისა და საბჭოთა კავშირის თასებისთვის საასპარეზოდ ჩამოვიდნენ. დისტანცია საკმაოდ ძნელი იყო, განსაკუთრებით, 10-კილომეტრიანი მონაკვეთი. ბაკურიანში უკვე მეორე კვირაა თოვლი არ მოსულა, მცხუნვარე მზეს კი თავისი გააქვს. ამიტომაც მსაჯთა კოლეგიას დისტანციის გარკვეულ ნაწილზე თოვლის დაყრა მოუხდა. რბოლა ჭირდა. და მაინც, რამდენიმე მონაწილემ საკმაოდ მაღალ შედეგს მიაღწია. საუკეთესო მაჩვენებელი აღმოაჩნდა ოსტატობის კანდიდატს გ. გუსევს (ყაზახეთი, „ენბეკი") — 55.05,0. ყაზახეთის ოთხივე სპორტსმენმა დისტანცია ერთ საათზე უკეთეს დროში დაფარა. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სამთოსათხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშებაში გამარჯვებული იოსებ ნასყიდაშვილის ძმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი იაგორ ნასყიდაშვილი („ბურევესტნიკი") — 56.45,0, რომელმაც რ. მაკიევს („კოლმეურნე") თითქმის 4 წუთი მოუგო — 1:00.41 III ადგილზეა ლ. სოღოიანი („კოლმეურნე") — 1:00.48.

იუნიორთა შორის ამ დისტანციაზე შეჯიბრება მოიგო ბ. ბაკაევმა („სპარტაკი") — 1:09.07. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „კოლმეურნის" სპორტსმენები ა. ქუმარიტაშვილი (1:10.55) და ა. მოროზოვი (1:12.27).

ყველა სახეობაში გუნდებს ჩათვლას აძლევენ ის სპორტსმენები, რომლებიც I-VI ადგილებს დაისაკუთრებენ. მაგალითად, 15 კმ-ზე რბენაში „ბურევესტნიკის" ოთხი სპორტსმენის შედეგები შევიდა ჩათვლაში. განთიადელებმა ვერც ერთი ქულა ვერ მიიღეს.

5 კმ-ზე რბოლაში 16 ქალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. დამსახურებულად გაიმარჯვა ბურევესტნიკელმა ნ. ბადაშვილმა (25.20,0), რომელიც ზამთრის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ „ლელოს" პრიზის გათამაშებაში საუკეთესო იყო. მომდევნო ადგილებზე აქაც სასოფლო საზოგადოების მოთხილამურეები გავიდნენ: ლ. ხრაავინას შედეგია 26.01,0, თ. პარამტაევასი — 26.23,0.

გოგონებში აშკარა იყო ლ. მაკიევას („კოლმეურნე") უპირატესობა — 27.37,0. მან განთიადელ ნ. ბაკაევას 3 წუთზე მეტი მოუგო. სამაგიეროდ, ბაკაევამ 2 წუთით და 14 წამით აჯობა მაკიევას თანაგუნდელს ტ. ტერეხოვას, რომელიც მესამე იყო.

90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრება მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩეოდა. სტარტი სულ ოთხმა სპორტსმენმა აიღო, რომელთაგან ერთი — სპორტის ოსტატი მიხეილ გავა უკონკურსოდ გამოდიოდა. საუკეთესო შედეგიც მას აღმოაჩნდა. ჩემპიონობა სპორტის ოსტატობის კანდიდატ ანტონ გავას („ბურევესტნიკი") დარჩა.

ვაჟები და ქალები, იუნიორები და გოგონები გიგანტური სლალომის 1500-მეტრიან (სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 42 კარი) ტრასაზე ასპარეზობდნენ.

ქალთა შორის ყველა საპრიზო ადგილი სპორტის ოსტატებმა დაისაკუთრეს. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ნ. ფალიანი („ბურევესტნიკი") — 1.52,2. ვეტერანი ლ. გოგოლაძე („კოლმეურნე") მას 3,2 წამით ჩამორჩა. ნ. ომიაძემ („განთიადი") დისტანციის გავლას 2 წუთი და 5 წამი მოანდომა.

გოგონათა შეჯიბრებაში მხოლოდ ორი მონაწილე ჩაება. პირველობა ზ. რატიანს („კოლმეურნე") დარჩა — 2.17,5.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I — დ. თვაური („კოლმეურნე") — 1.37,3, II — რ. აკოფოვი — 1.38,0, III — შალვა კოხანაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი") — 1.40,7.

ჭაბუკებში საუკეთესო იყო ა. ნავერიანი — 1.44,4. II ადგილზეა გ. ღარიბაშვილი (ორივე — „კოლმეურნე") — 1.51,3, III — გ. ოგანეზოვი („სპარტაკი") — 1.55,0.

გუნდურ ჩათვლაში 107 ქულით დაწინაურდა „კოლმეურნე". ამ წარმატებას მან იმით მიაღწია, რომ გოგონებისა და იუნიორების კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა. II ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 57 ქულა, III — „განთიადი" 27 ქულა.

ო. გელაშვილი.

საპატიო სიგელით დაჯილდოვდა

ამ ორი წლის წინ თერჯოლის რაიონში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ტურისტული კლუბი, რომლის გამგეობის თავმჯდომარედაც ჩხარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ა. ბუცხრიკიძე აირჩიეს.

კლუბის გამგეობამ იმთავითვე ფართოდ გაშალა მუშაობა, პირველ ყოვლისა — რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და სკოლებში. ამჟამად რაიონში 38 ტურისტული სექციაა, რომლებშიც 4500-მდე კაცია გაერთიანებული.

1969 წელს ტურისტულმა სექციამ კომკავშირის რაიკომის, რაიონის სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დახმარებით 100-ზე მეტი ლაშქრობა მოაწყო მშობლიური მხარის გაცნობა-შესწავლის მიზნით. ამ ღონისძიებებში 2000 ტურისტი მონაწილეობდა.

საინტერესო იყო რაიონის ტურისტთა მასობრივი ლაშქრობა მარშრუტით: ჩხარი — გოგნი — მდინარე ძევრულის ხეობა — ჩხარი — ძევრი. ლაშქრობაში 150 ტურისტი მონაწილეობდა.

ტურისტული კლუბი ამჟამად გაცხოველებით ემზადება, რომ საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს ღირსეული წარმატებებით შეხვდეს.

ამ თარიღთან დაკავშირებით მოეწყობა ლაშქრობები მარშრუტით: თერჯოლა — ჩხარი — ძევრი — სიმონეთი — ჭიშურა — თერჯოლა, აგრეთვე, გორი — ცხინვალი — ონი — ამბროლაური — ტყიბული; გაიმართება შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, გამოჩენილ სპორტსმენებთან; მოეწყობა ლექციების ციკლი საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის გასაცნობად.

ტურიზმის საკავშირო საბჭომ ტურიზმის განვითარებისთვის ზრუნვისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურს-დათვალიერებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისთვის თერჯოლის ტურისტული კლუბი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ხ. ტალახაძე.

თერჯოლა.

„ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც გვატყობინებდნენ, რომ მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ხ. ცოტაძემ სოფლის ფეხბურთის სათამაშო მინდორი გადახნა.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის მცხეთის რაიკომიდან გვაცნობეს, საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ქსოვრისის ახალგაზრდობას გამოუყო ახალი ნაკვეთი და მინდვრის კეთილმოწყობა უკვე დაიწყო.

მიეძღვნა გოელროს 50 წლისთავს

საქენერგოს გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივში ენერგეტიკოსის დღესთან დაკავშირებით სპარტაკიადის ჩატარება ტრადიციად დამკვიდრდა. ეს ასპარეზობა, რომელიც მუდამ ახალი წლის წინ იღებს სტარტს, ამჟამად გოელროს გეგმის 50 წლისთავს მიეძღვნა.

გარდამავალი თასისთვის ბრძოლაში 7 კოლექტივი ჩაება. მაგიდის ჩოგბურთში საბოლოოდ სამ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა. დამატებით შეხვედრებში გაიმარჯვეს სამმართველოს განყოფილებებისა და სამსახურების ნაკრებმა. გაერთიანებული სადისპეტჩეროს მოჭადრაკეებმა, რომლებმაც ამ სახეობაში პირველობა მოიპოვეს, 13,5 ქულიდან 6 ქულა მოუტანა ინჟინერმა თინათინ ქორქოლაძემ. შაშში გაიმარჯვეს ცენტრალური ლაბორატორიის წარმომადგენლებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა და გარდამავალი თასი წილად ხვდა გაერთიანებული სადისპეტჩეროს კოლექტივს. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს ცენტრალური ლაბორატორიისა და ენერგოგასაღების წარმომადგენლებმა.

თ. ბაჩიჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკური შთაბეჭდილებანი

ეს დღეც დადგა — 21 ივნისი. ფინალი დანიშნული იყო 12 საათზე, ჩვენი „დესპანები" კი, როგორც მოგახსენეთ, რიგიანი ადგილების დასაკავებლად დილის 7 საათზე გაემართნენ „აცტეკისკენ", მაგრამ ღამისმთევლებმა მათ მოასწრეს შუა ადგილებზე მოკალათება. მაინც ბედს ვერ დავემდურებოდით: ადგილიც არა უშავს ისეთი შეგვხვდა და სათამაშო მინდორიც ხელისგულივით იყო ჩვენს წინ გადაშლილი.

ცხრის ნახევარზე ტრიბუნაზე ვისხედით და სამსაათნახევარმა ისე განვლო, არც შეგვიტყვია. საზეიმოდ მორთული სტადიონი ლამაზი სანახავი იყო. ზედ შუა მინდორზე ჩამოშვებული იყო 6 უზარმაზარი ბურთი ბრაზილიის, იტალიის, გფრ-ის, ურუგვაის, მექსიკისა და ფიფა-ს ალმებით, სტადიონს გარს უფრენდა ჭრელად მოხატული შვეულმფრენი, ტრიბუნებზე იქნევდნენ დროშებს, მღეროდნენ, მხიარულობდნენ, დროს ამოკლებდნენ.

10 საათზე დაიწყო სანახაობათა დემონსტრაცია. სტადიონის ოთხივე მხრიდან მინდორზე შემოვიდნენ წითელ ქულაჯებსა და თეთრ რეიტუზებში გამოწყობილი ქალიშვილებისა და ჭაბუკების სასულე ორკესტრები.

ბოლოს, ყველაფერი მიწყნარდა, „აცტეკამ" საქმიანი იერი მიიღო და ადგილი დაუთმო მთავარ გმირებს — მატჩის არბიტრს რ. გლეკნერს (გდრ), მის თანაშემწეებს რ. შერერს (შვეიცარია), ა. კორეზას (არგენტინა) და 22 ფეხბურთელს — ბრაზილიისა და იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებს.

აქვე, მინდორზე, იყო კიდევ ერთი მთავარი პერსონაჟი — გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება. ეს დღე გახლდათ ჟიულ რიმეს ამ მეტად ორიგინალური და ლამაზი თასის ბოლო ტრიუმფი. ამიერიდან მას სამუდამოდ დაეუფლებოდა ერთ-ერთი ორგზის მსოფლიო ჩემპიონთაგან — ბრაზილია ან იტალია. ნიკეს ელოდა საპატიო, სამუზეუმო ექსპონატის ხვედრი.

როგორი იყო საერთო პროგნოზი მატჩის წინ, რას ფიქრობდნენ სპეციალისტები, მიმომხილველები? საერთო აზრი, მეტოქეთა ყველა შესაძლებლობის ობიექტური, დეტალური ანალიზის შედეგად ემხრობოდა ბრაზილიელებს და მათს გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ისინი უდავო ფავორიტები იყვნენ. ეს ასეა, მაგრამ განა შეიძლებოდა გადაჭრით და კატეგორიულად იმის თქმა, რომ იტალიელები დათმობდნენ ოქროს თასს და ვერ გაუძლებდნენ პელეს გუნდის მრისხანე იერიშებს? რასაკვირველია, არა.

იტალიური ფეხბურთის ძალა ყველამ კარგად იცის. მართალია, ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს (და არა საკლუბო გუნდებს) ვერ ჰქონდა კარგად საქმე ბოლო მსოფლიო ჩემპიონატებში. ადრე იტალია უცხოეთიდან იწვევდა იტალიური წარმოშობის ფეხბურთელებს, ე. წ. „ორიუნდის", და სწორედ მათი წყალობით მიაღწია 1934 და 1938 წლებში მსოფლიო ჩემპიონობას. მაგრამ უცხოელი ვარსკვლავების იმპორტი შემდგომ წლებში ნამდვილ ეპიდემიად იქცა და მათ წამყვანი პოზიციები დაიკავეს ამ ქვეყნის უძლიერეს გუნდებში. ადგილობრივ მკვიდრ ახალგაზრდა მოთამაშეებს გზა გადაეკეტათ დიდ ფეხბურთში, მათ ადგილი აღარ ჰქონდათ კლუბებში და ამის გამო დაკნინდა ეროვნული ნაკრებიც, სადაც უცხოელ მოთამაშეებს აეკრძალათ თამაში. ასე დამკვიდრდნენ იტალიაში გრენი, ნორდალი, ლიდჰოლმი, ჰამრინი, სკიაფინო, ალტაფინი, ამარილდო, ჟაირი, სუარესი, ანჯელილო, სორმანი, სივორი და ბევრი სხვა. ნაკრებში თამაშის უფლება კი მათ არ ჰქონდათ.

მაგრამ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია დროზე მოვიდა გონს, გამოსცა კანონი, რომელიც ზღუდავდა მდიდარი მეცენატების კომერციულ საქმიანობას და ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმაც სულ მოკლე ხანში მიიღო ბრწყინვალე შევსება, რომლის წარმომადგენელთა პასპორტებსაც შემოწმება არ სჭირდებოდა: ისინი წმინდა წყლის იტალიელები იყვნენ.

ასე გამოჩნდნენ იტალიური ფეხბურთის ცისკიდურზე შესანიშნავი ოსტატები მაცოლა, რივერა, დომენგინი, დე სისტი, ფაკეტი, რივა, ბურგნიჩი და სხვანი, რომლებმაც თავიანთი გუნდი ისევ დაუბრუნეს საერთაშორისო ფეხბურთის ავანგარდს. სწორედ ამის შედეგად მოიპოვეს იტალიელებმა 1968 წელს ევროპის ჩემპიონის წოდება და, საერთოდ, გამოვიდნენ წინა პლანზე.

ზევით მოგახსენეთ, რომ ბრაზილიელთა საუკეთესო მეტოქედ ფინალურ მატჩში ინგლისი მიმაჩნდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტალიის ნაკრები იქ შემთხვევით მოხვდა, მოვლენათა იღბლიანი მსვლელობის შედეგად. ის, რომ II ჯგუფის გუნდების ტურნირში იტალიელებმა ბევრი ვერაფერი აჩვენეს და მეოთხედფინალში გავიდნენ მხოლოდ შვედების კარში გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით, ბევრს არაფერს ნიშნავს. მათ თავიანთი გეგმა ჰქონდათ და იგი წარმატებით იქნა შესრულებული. სამაგიეროდ, შემდგომ ორ მატჩში — მექსიკელებთან და გერმანელებთან, იტალიელებმა „ხელი გამოიღეს" და 4-4 ბურთი გაიტანეს.

წარმოუდგენელი მღელვარება გვიპყრობდა ტრიბუნებზე მსხდომთ. ის, რაც „აცტეკის" მწვანე მინდორზე უნდა მომხდარიყო, იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, იმდენი ახალი და საყურადღებო უნდა მოეტანა ჩვენთვის, რომ ვერავინ ფარავდა ნერვიულობას. წამდაუწუმ ვიხედებოდით საათზე, ვიცქირებოდით პროგრამაში, ადგილს ვერ ვპოულობდით.

აჰა, როგორც იქნა, შესრულდა 12 საათი. გლეკნერმა დასტვინა! IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი დაიწყო.

ახლა, როცა ამ დაუვიწყარი მატჩის შემდეგ ასე დიდი დრო გავიდა, მისი მსვლელობის მოგვიანებული აღწერა არა მგონია საინტერესო ან საჭირო იყოს. შევეცდები მხოლოდ შეძლებისდაგვარად ვილაპარაკო თვით თამაშის არსზე, გუნდებსა და ფეხბურთელებზე, რომლებმაც ასეთი ბრწყინვალებით მოახდინეს თანამედროვე ფეხბურთის უახლესი მიღწევების, იმ ტენდენციების თვალსაჩინო დემონსტრაცია, რომლებმაც ახალი ფურცელი გადაშალეს ამ სწორუპოვარი თამაშის განვითარებაში.

თამაშის დასაწყისს ერთგვარი სიფრთხილე და შენელება აჩნდა, მაგრამ საკმარისი იყო რივას მოულოდნელად დაერტყა (ბურთის მოსაგერიებლად ფელიქსს თავგანწირული ნახტომი დასჭირდა) და ბრაზილიელებმაც სრული სიმძლავრით ჩართეს თავიანთი ძრავა. შეტევას ისინი აუჩქარებლად, საფუძვლიანად იწყებდნენ, წინ მიიწევდნენ ზუსტი გადაცემებით, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ 10-12-ს აღწევდა. ამ ეტაპზე ბურთი უფრო მეტს და სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე თვით მოთამაშეები, ამასთან, გადაცემის სიზუსტე ისეთი იყო, რომ ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელება არ ბრკოლდებოდა ე. წ. ტექნიკური წუნის გამო. არათუ მოკლე გადაცემები, ბურთის გრძელი, ფლანგური მოწოდებაც, რომელთა საშუალებითაც ბრაზილიელები მოულოდნელად ცვლიდნენ შეტევის მიმართულებას და რიტმს, სრულდებოდა უაღრესად ზუსტად. ისინი საუცხოოდ იყენებენ თავისუფალ ადგილს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთამაშეს ფეხში კი არ აწვდიან ბურთს, როცა მას მიღების მომენტში მეტოქესთან შეტაკება უხდება, არამედ თავისუფალ ადგილზე, როცა პარტნიორთა მოქმედება შეწყობილი, დამუშავებული და სინქრონულია. ორივემ იცის, რა დროს და როგორ იქნება გამოყენებული ეს თავისუფალი ადგილი, როდის მოხდება ადრესატის შეხვედრა ბურთთან, რა კომბინაციაა ჩაფიქრებული. მეტოქე კი ამ დროს ორჭოფულ მდგომარეობაშია და საქმის ვითარებაში ერკვევა მხოლოდ მოგვიანებით, მანევრის შესრულების შემდეგ.

ასევე სრულყოფილად ფლობენ ბრაზილიელები უბურთოდ თამაშის რთულ ხელოვნებას. ისინი ამ საქმეში დიდ მახვილგონივრულობას იჩენენ. მცველები და ნახევარმცველები გამუდმებით მოძრაობენ იმ მიზნით, რომ მეზობელ მოთამაშეს შეუქმნან თამაშის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი, გაუადვილონ ძნელი მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობა, თავდასხმაში კი ეს ყველაზე ნათლად ჩანდა ჟაირზინიოს თამაშში. იერიშის პირველ ეტაპზე ჟაირზინიო იწყებდა მოძრაობას ცენტრისკენ, იქ, სადაც პელე და ტოსტაო მოქმედებდნენ. ფაკეტი იძულებული იყო თან გაჰყოლოდა თავის „ქვეშეფს" მინდვრის შუაგულში და ამ მომენტში, თუნდაც მცირე ხნით, ფლანგი დაუცველი რჩებოდა. პელეს და გერსონს სასწრაფოდ გადაჰყავდათ იქით ბურთი, მარჯვენა მცველი კ. ალბერტო კი უკვე იქ იყო და ცენტრში გადაცემას თუ კარში დარტყმას ისევე ოსტატურად ასრულებდა, როგორც ნამდვილი ფორვარდი.

სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ კ. ალბერტომ 6 მატჩში 73-ჯერ განახორციელა ასეთი რეიდი, ამასთან იგი არ იფარგლებოდა ამ ზონაში მხოლოდ შეტევის ორგანიზაციით და კარის აღებასაც ახერხებდა. ბრაზილიელების მიერ გატანილი გოლების თითქმის ორი მესამედი მცველებისა და ნახევარმცველების საიერიშო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობის შედეგი იყო. რაღა შორს მივდივართ: ფინალურ მატჩში ბრაზილიელთა მიერ გატანილი 4 გოლიდან 2 ეკუთვნით ნახევარმცველ გერსონსა და მცველ კ. ალბერტოს და ერთიც — პელეს, რომელსაც ბურთი ზუსტად მიაწოდა ნახევარმცველმა რიველინომ.

უკანა ხაზების მოთამაშეთა ასეთი აქტივობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები, პირველხარისხოვანი ფეხბურთელები არიან. რომელი მცველი გაბედავს წავიდეს წინ, შეტევაზე, თუ მას საამისოდ არა აქვს მოგვარებული საქმეები საკუთარ კართან და არაა დაზღვეული უშუალო მეტოქის საშიში კონტრშეტევისგან? ბრაზილიის ნაკრების მცველთა უდიდესი ღირსება სწორედ ისაა, რომ ისინი ინდივიდუალურადაც იოლად უმკლავდებიან მეტოქეებს და იერიშებსაც ისე აწარმოებენ, რომ არაფერი ავნონ თავიანთ გუნდს.

ბრაზილიას ერთ დროს ჰყავდა საიმედო მეკარე ჟილმარი, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელია ამ გუნდის ხანგრძლივ წარმატებებში. ჟილმარის შემდეგ ჩემპიონთა ქვეყანაში ხეირიანი მეკარის პოვნა გადაუჭრელ პრობლემად იქცა. ყველას ახსოვს მანგას მიუტევებელი შეცდომები ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში. ახლა, მექსიკაში, ბრაზილიელთა კარს იცავდა ფელიქსი, 33 წლის მეკარე „ფლუმინენსედან". ფელიქსმა მონაწილეობა მიიღო შესარჩევ თამაშებში და კარგადაც გამოიჩინა თავი, მაგრამ ნაკრების ძველი მწვრთნელი ჟ. სალდანია მას რატომღაც არ სწყალობდა და გარიცხა კიდეც გუნდიდან. შემდგომში, ახალმა მწვრთნელმა მ. ზაგალომ გამოცდილი ფელიქსი არჩია ახალგაზრდებს—ლეაოსა და ადოს და არც შემცდარა. ფელიქსი ჩემპიონთა კარს ღირსეულად სდარაჯობდა.

მარჯვენა მცველ კ. ალბერტოზე (გუნდის კაპიტანი) ბევრი ითქვა და დაიწერა. ამ ფეხბურთელზე ალბათ მომავალშიც ბევრს ილაპარაკებენ. მათთვის, ვინც კარგად არაა ჩახედული საქმეში, ძნელი წარმოსადგენია, რას ნიშნავს ბრაზილიის ნაკრებში დაიკავო ის ადგილი, სადაც თამაშობდა ჯალმა სანტოსი — ყველა დროის მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. ბრაზილიელებს მიაჩნდათ, რომ მათ მარჯვენა მცველის პოსტზე არასოდეს ეყოლებოდათ ჯ. სანტოსის ნამდვილი მემკვიდრე. მაგრამ კ. ალბერტომ ყველაზე გაბედულთა მოლოდინსაც კი გადააჭარბა, შეუძლებელი შეძლო და ნაკრების ბურჯად იქცა. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, როგორც ორგანიზატორმა მოთამაშემ, პირველხარისხოვანმა მოიერიშე მცველმა.

ტყუპის ცალივით ჰგავს თამაშში კ. ალბერტოს მარცხენა მცველი ევერალდო. მძიმე მომენტებშიც კი, როცა დაცვის მოთამაშეს თითქოს სულაც არ უნდა აინტერესებდეს, რა ხდება მოწინააღმდეგის ნახევარზე, ევერალდო მუდამ მზადაა ისეთი მოულოდნელი გარღვევა შეასრულოს, რომ, ჯერ ერთი, საფრთხეში ჩააგდოს მეტოქის კარი და, მეორეც, გარდატეხა შეიტანოს თამაშში, ამოსუნთქვის საშუალება მისცეს თავის პარტნიორებს.

კარის წინ, ცენტრალურ ზონაში, ბრაზილიელებს ორი სტოპერი ჰყავთ — ბრიტო და პიაცა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ნახევარმცველი კლოდოალდოც ეხმარება. მათი შეთანხმებული, საათის მექანიზმივით აწყობილი თამაში შორს სცდება ცენტრალურ მცველთა იმ საერთო ტრაფარეტს, რასაც ჩვენ ვართ შეჩვეული. ბრაზილიელთა სტოპერებს, როგორც ყველა სხვას, თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ მოპირდაპირე ცენტრალური თავდამსხმელების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი საერთო ნეიტრალიზება. მაგრამ ესაა მხოლოდ ნაწილი მათი რთული, შინაარსიანი თამაშისა. ისინი ყოველ წუთს მზად არიან ჩაკეტონ ზონა, როცა კ. ალბერტო ან ევერალდო გადადიან შეტევაზე. ამას გარდა, მუდამ იმის ცდაში არიან, რომ მათს გამგებლობაში მყოფი ბურთი უმისამართოდ, მხოლოდ ხიფათის მოსაცილებლად კი არ იქნეს მოგერიებული, არამედ დასაწყისი მიეცეს ახალ შეტევას, ახალ საიერიშო კომბინაციას. მათ კარგად იციან, რომ წინა ხაზზე ყოველთვის იხსნება რომელიმე ნახევარმცველი ან ფორვარდი გამზადებული კონტრშეტევის წამოსაწყებად და ბურთის გაგზავნა საჭიროა ზუსტად იქით, საეგებიოდ კი არა — ზუსტად, გონივრულად, გამოანგარიშებულად. ამ მხრივ ისინი შეუდარებელი არიან.

საერთოდ, დადიოდა ხმები, რომ დაცვა ბრაზილიელთა გუნდში ყველაზე სუსტი რგოლიაო. ვერ დავეთანხმები. ჯერ ერთი, ეს საქმით ვერც ერთმა გუნდმა ვერ დაამტკიცა, და მერე, ეს ბრაზილიელი მცველების ტრადიციული უიღბლობაა — ისინი მუდამ თავიანთი ბრწყინვალე ფორვარდების ჩრდილში რჩებოდნენ.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ბრაზილიის ნაკრებისთვის მისი ნახევარმცველის გერსონის თამაში. იგი გუნდის ტაქტიკური ღერძია, მთავარი კომბინაციური სტრატეგი, და ამიტომაა, რომ ბრაზილიელთა მცველები ყოველთვის ცდილობენ მოძებნონ გერსონი, მას მისცენ ბურთი. ისინი დარწმუნებული არიან — გერსონი გააკეთებს ზუსტად იმას, რაც საჭიროა, არ შეცდება და გამონახავს იერიშის გაგრძელების ყველაზე უკეთეს გზას.

ბრაზილიელთა ნამდვილი აღმოჩენაა მარცხენა გარემარბი რიველინო. იგი საუცხოოდ შეეწყო როგორც ნახევარდაცვის როლს, ისე თავდამსხმელებსაც და ისე აქვს შენიღბული იერიშის წამოწყების მომენტი, რომ უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ მშრალზე ტოვებს მეტოქეს. ამას გარდა, რიველინო საჯარიმო დარტყმების უბადლო ოსტატია. საინტერესოა, რომ არც რიველინო მოსწონდა სალდანიას და ნაკრებში იგი ისევ ზაგალომ შეიყვანა.

სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ პრობლემად იქცა ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელის ტოსტაოს საკითხი. მას თვალის რთული ოპერაცია გაუკეთეს და მწვრთნელთა ყოველ შეკითხვაზე ექიმები ეჭვით აქნევდნენ თავს, ტოსტაო კი გუნდს ძალიან სჭირდებოდა. მაგრამ მედიცინამ თავისი სიტყვა მაინც თქვა, ყველაფერმა კეთილად ჩაიარა და ცენტრალური თავდამსხმელიც მწყობრში ჩადგა. და მერე როგორ! ტოსტაო სწრაფია, მოძრავი, ყოველთვის შუა ბრძოლაშია, ორიენტაციის საოცარი უნარი აქვს. პარტნიორებს უშეცდომოდ ეთამაშება და კარს იშვიათად აცდენს დარტყმას. ტოსტაოს დაჭერა ძალზე ძნელი საქმეა.

კიდევ უფრო ძნელია ჟაირზინიოს წინააღმდეგ თამაში. ეს ფეხბურთელი ადრეც მინახავს, მოსკოვში, 1965 წლის 4 ივლისს. მაგრამ ბრაზილიელთა მაშინდელი და ახლანდელი გარემარბის შედარება არ შეიძლება. იგი არნახულად გაიზარდა როგორც ტექნიკის, ისე ტაქტიკის თვალსაზრისით და მექსიკის სტადიონებზე პირდაპირ თავზარს სცემდა მოწინააღმდეგეებს. მას საუცხოო ათლეტური მონაცემები აქვს, უდიდესი სისწრაფის დროსაც კი ჩინებულად ფლობს ბურთს, საუკეთესოდ ხედავს, უფრო სწორად, გრძნობს, რაც მის გარშემო ხდება, არ ეშინია მეტოქისა, თუნდაც მას ყველაზე უხეში მოთამაშის სახელი ჰქონდეს გავარდნილი, კარში ურტყამს საშინელი ძალით, უაღრესად ზუსტად და მერე იქვე, მინდორზე დაჩოქილი, საჯაროდ უხდის ღმერთს მადლობას გატანილი გოლისთვის.

დაბოლოს, პელე. რა შემიძლია ვთქვა პელეზე, როცა მის თამაშზე ტომებია დაწერილი, სერიებით აქვთ სასწავლო ფილმები გადაღებული, როცა მის ერთ მოძრაობას ანალიზს უკეთებენ და სწავლობენ ანალიტიკოსთა მთელი ბრიგადები? პელე პელეა! 1958 წელს, შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში იგი გამოჩნდა როგორც ვარსკვლავი, საფეხბურთო ვუნდერკინდი, შემდეგ იქცა „შავ მარგალიტად", „შავ ბრილიანტად" და „ფეხბურთის მეფედ". მექსიკაში პელე უკვე ბრძენი იყო და „ფეხბურთის ღმერთის" სახელით მოინათლა.

შეიძლება, მთელი ეს ხმაურიანი და ჭრელი წოდებები ჩვენი ყურისთვის შეუჩვეველია, მაგრამ პელე ყველაფრის ღირსია. თუ ფეხბურთში შეიძლება არსებობდეს ღმერთი, პელე ღმერთია.

თქვენ, ალბათ, იკითხავთ: როგორ თამაშობს პელე? პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ მოკლედ ასე დავახასიათებ მის თამაშს — პელეს ყველაფერი შეუძლია. მისი ტექნიკა უნაკლოა, ბურთი და პელე თითქოს ერთ მთლიან არსებას წარმოადგენენ, ისე მორჩილად, თვინიერად ჰყავს იგი „გაწვრთნილი" ამ უბადლო ფეხბურთელს. ბურთის მიღება, გადაცემა, ტარება, კარში დარტყმა, ეს ყველაფერი პელეს უმაღლეს საფეხურამდე აქვს აყვანილი. „შავმა მარგალიტმა" თავისი გამოჩენის პირველივე დღიდან განაცვიფრა საფეხბურთო სამყარო, მაგრამ თუ ადრე იგი, უბრალოდ, ექსტრა-კლასის ფეხბურთელი იყო, ამას ბოლო წლებში დაემატა ნამდვილი ტაქტიკური სიბრძნე და მისმა ნიჭმა ახალი ბრწყინვალებით გაიკიაფა. პელემ მთლიანად შეცვალა თამაშის მანერა და ახალ ამპლუაში მოგვევლინა. იგი აკადემიური ფეხბურთელი გახდა.

ზემონათქვამი არ ნიშნავს, რომ პელეს თამაში იდეალურია. არა. ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდების მატჩში იყო მომენტი, როცა პელემ ვერ შეძლო ცარიელ კარში ბურთი გაეტანა და ამ მომენტში ფეხბურთის ღმერთი სავსებით მიწიერ, ჩვეულებრივ მოთამაშედ ჩანდა. მას არ უვარგა საჯარიმო დარტყმებიც, მაგრამ ვინ თქვა, რომ იდეალური და აბსოლუტურად სრულქმნილი რამე არსებობს ამ ქვეყნად? პელესაც აქვს ასეთი „ცოდვები", მაგრამ უფრო ძლიერად, უფრო უკეთ ითამაშო, ვიდრე ეს ბრაზილიელი თამაშობს, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ჩემპიონატის დასაწყისში პელე უკან დაწეული ფორვარდის როლს ასრულებდა და აქ მთელი სიცხადით გამოჩნდა მისი უნაკლო ტაქტიკური ინტუიცია, თამაშის ღრმა ცოდნა, იშვიათი საფეხბურთო აზროვნება. გაიხსენეთ გადამწყვეტი გოლი, რომელიც ჟაირზინიომ გაიტანა ინგლისელთა კარში. პელემ მიიღო ბურთი, შეაჩერა

(გაგრძელება მე-4 გვ.).

• • •

ბრაზილიის ნაკრები მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ღირსეულმა ღირსეული ჯილდოც მიიღო: ოქროს ქალღმერთის თასი ბრაზილიელთა სამუდამო მფლობელობაში გადავიდა.

ოქროს ქალღმერთის ქანდაკება ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა გადასცა ბრაზილიელთა კაპიტანს კ. ალბერტოს, ამ უკანასკნელმა კი იგი ჩააბარა მას, ვინც ყველაზე უფრო დაიმსახურა ეს პრიზი — ფეხბურთის მეფეს — პელეს.

სურათზე: ბრაზილიელ ფეხბურთელებს ხელში აყვანილი ჰყავთ პელე.

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 11, 18, 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკური შთაბეჭდილებანი

გაგრძელება

იგი, შეყოვნდა თვითონაც და მერე თავის მარჯვენა გარემარბს გადააწოდა ისე, რომ მას ერთი სანტიმეტრითაც არ დასჭირებია ნაბიჯის მომატება, სისწრაფის შეცვლა. საჭირო იყო მხოლოდ დარტყმა კარში. ან გაიხსენეთ გადაცემა ფინალურ მატჩში კ. ალბერტოსკენ (მეოთხე გოლი), ან ჩეხოსლოვაკიელებთან მინდვრის ცენტრიდან დარტყმული ბურთი. რომელი ერთი! ინდივიდუალიზმი პელესთვის უცხოა, იგი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც გუნდისთვისაა სასარგებლო, მაგრამ როცა ეს საჭიროა, პელე წარმოუდგენელ ტრიუკებს ასრულებს...

პელეს საუცხოო ფიზიკური მონაცემები აქვს. იგი ნამდვილი ათლეტია, მშვენივრად იტანს ყოველგვარ ფიზიკურ დატვირთვას, სასტიკ შეჯახებებს მოწინააღმდეგე მცველებთან, ძალიან სწრაფია, შესანიშნავად თამაშობს თავით, თანაბარი სიძლიერით ხმარობს ორივე ფეხს, მუდამ მზადაა ბრძოლისთვის, ყველაფერს აძლევს თამაშს, თავდავიწყებამდე...

იტალიის ნაკრებთან მატჩში ბრაზილიელებმა სიურპრიზი შესთავაზეს მეტოქეს — წინ, შეტევის მახვილზე პელე ხშირად იცვლიდა ადგილს ტოსტაოსთან და მათი შემტევი ანსამბლიც დაუძლეველი გახდა. მძლავრი ფლანგური მოთამაშეები, ორი პირველხარისხოვანი ცენტრალური ფორვარდი... ამ ავანგარდს მინდვრის სიღრმიდან მხარს უმაგრებდა ნახევარდაცვა მთავარი დისპეტჩერის გერსონის მეთაურობით, შეტევაში სისტემატურად ერთვოდნენ კ. ალბერტო და ევერალდო.

იტალიელებს ძალიან გაუჭირდათ. მათ თითქოს მჭიდროდ ჰყავდათ ჩაკეტილი მოპირდაპირე თავდამსხმელები, მაგრამ წამი იყო საჭირო, რომ ბურთის მიღებისა და გათამაშების მომენტში ყველა თავისუფალ ადგილზე „გამძვრალიყო". სწორედ ესაა ბრაზილიელ ფეხბურთელთა დიდი ხელოვნება, მათი წარმატების ერთ-ერთი მთავარი იარაღი.

ა. ბაიდაძე,
სპორტის ოსტატი.

(დასასრული იქნება)

მხოლოდ ოთხი შეხვედრა

გორი, 25 იანვარი. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მემორიალის XII ტურში მხოლოდ 4 შეხვედრა დამთავრდა: ი. პლატონოვმა (კიევი) მოუგო ვ. სავონს (ხარკოვი), რ. ჯინჯიხაშვილმა — გ. კუთარაშვილს. ყაიმით დასრულდა მ. პოდგაეც (ოდესა) — ბ. გურგენიძისა და ა. ბოკუჩავა — ე. გუფელდის შეხვედრები.

გადაიდო პარტიები: ლ. შტეინი (კიევი) — ზ. მიქაძე, ს. ფურმანი (ლენინგრადი) — ა. გაგუა და ნ. ალექსანდრია — ც. უბილავა.

12 ტურის შემდეგ ე. გუფელდს 9,5 ქულა აქვს, ი. პლატონოვს — 8 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, რ. ჯინჯიხაშვილსა და მ. პოდგაეცს — 7,5-7,5, ს. ფურმანს — 7 (1), ბ. გურგენიძეს — 7.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.)

ჭადრაკი

1

2

3


4

მემორიალი ფოტოთვალით

ჭადრაკს სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მოჭადრაკეთა შემოქმედების გასაცნობად აუცილებელი არ არის ტურნირს დაესწრო. ნათამაშევი პარტიების ჩანაწერი ზუსტად გადმოგვცემს გარდასულ ბრძოლას. და მაინც, საინტერესოა საკუთარი თვალით შეხედო მოჭადრაკეთა სარბიელს, პარტიის მსვლელობას, მეტოქეთა განცდებს... მაგრამ აქაც არის საშუალება, გულშემატკივარმა სატურნირო დარბაზში რომ შეიხედოს. ესაა ფოტოაპარატის თვალი.

ფოტორეპორტიორმა ა. კავკასიძემ რამდენიმე დღე დაჰყო გორში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მემორიალზე და სურათების დასტა ჩამოიტანა.

აი, „ბრძოლის სარბიელიც" გ. ერისთავის სახელობის თეატრში (სურ. № 1). მოჭადრაკეები ფიქრს მისცემიან. სადემონსტრაციო დაფაზე აღბეჭდილია მათი ზრახვები, განცდები...

მღელვარება გულშემატკივრებსაც გადაეცემათ. მაგრამ გამოუცდელი ქომაგები ისე ადვილად ვერ სწვდებიან ჩანაფიქრის სიღრმეს. ამიტომ შინიდან მათ ჭადრაკი მოუტანიათ და აქვე, დარბაზში აანალიზებენ დაფაზე შექმნილ სიტუაციას (სურ. № 2).

მემორიალს მუდამ ჰყავს საპატიო სტუმრები. ჭადრაკის ტრფიალი ისე როგორ ჩაუვლის გორს, რომ თეატრში, სადაც შეჯიბრება ტარდება, ცოტა ხნით მაინც არ შეიხედოს. ამ დღეს ასეთი ძვირფასი სტუმარი გახლდათ ცნობილი ქართველი მსახიობი ა. ვასაძე. იგი მე-3 სურათზეა აღბეჭდილი (პირველ რიგში — მარცხნივ).

საჭადრაკო ბრძოლა დიდი შრომაა. ხუთსაათიანი „სამუშაო დღე", მისთვის მზადება და მერე გადადებული პარტიის ანალიზი, ისიც ერთი კვირის მანძილზე, დაგვერწმუნეთ, დამქანცველია. ამიტომ დასვენების დღეს მოჭადრაკეები მაქსიმალურად იყენებენ. ერთ-ერთი დასვენების დღე მათ გორის გაცნობას მოანდომეს. ინახულეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. აქ დიდოსტატებმა ი. პლატონოვმა (მარცხნივ) და ს. ფურმანმა ინტერესით დაათვალიერეს ი. ბ. სტალინისთვის ბულგარელი მეგობრების ნაჩუქარი ჭადრაკი (სურ. № 4).

ქველმოქმედება გლაზგოში

27 იანვარს გლაზგოს უდიდეს „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე გაიმართება მატჩი, რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდება ქალაქის მეორე სტადიონზე („იბროქს პარკი"). ამას წინათ მომხდარ კატასტროფაში დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებს.

მკითხველებმა იციან, რომ ხსენებული კატასტროფისას, რომელიც ადგილობრივი გუნდების — „გლაზგო რეინჯერსისა" და „სელტიკის" მატჩის დროს მოხდა, რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა და ასობით დაიჭრა.

ორივე კლუბის ხელმძღვანელობამ, აგრეთვე, შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი ავტორიტეტის აღსადგენად გადაწყვიტეს საქველმოქმედო მატჩის მოწყობა. ითამაშებენ კვლავ „სელტიკი" და „გლაზგო რეინჯერსი", რომელთა შემადგენლობაში გამოვლენ მოწვეული მოთამაშეებიც, კერძოდ, ბენქსი, ბ. ჩარლტონი (ორივე—ინგლისი), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია) და დევისი (უელსი).

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

უბედური შემთხვევები სტადიონებზე

ლონდონი, 26 იანვარი. გლაზგოს „იბროქს პარკის" ამასწინანდელი ტრაგედიის შემდეგ, რომელმაც 66 კაცი იმსხვერპლა, ინგლისის სტადიონებზე კიდევ ორი უბედური შემთხვევა მოხდა. 23 იანვარს ფეხბურთის მატჩის დროს ოქსფორდის სტადიონზე აგურის კედელი ჩამოინგრა. 30 კაცი დაიჭრა, რომელთაგან ხუთი საავადმყოფოში წაიყვანეს.

იმავე დღეს ხუთი ჭაბუკი სერიოზულად დაშავდა კარლაილის სტადიონზე, სადაც ლითონის ღობე ჩამოწვა.

ინგლისის სტადიონებს ხშირად უფრო მეტი ფეხზე სადგომი ადგილი აქვთ, ვინემ დასაჯდომი. საფეხბურთო კლუბებს, რომლებიც შემოსავალს მისდევენ, ტრიბუნებზე რაც შეიძლება მეტი მაყურებლის მოთავსება სურთ და სულაც არ ზრუნავენ მაყურებელთა უსაფრთხოებისთვის.

სწორედ ასეთ ტრიბუნებზე, სადაც მჭიდრო მასად თავსდებიან ფეხბურთის მოყვარულები, ხდება უბედური შემთხვევებიც.

ფიფა-ს კომიტეტში

ათენში მუშაობა დაამთავრა ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ. კომიტეტმა გადაწყვიტა 25 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაეხმაროს გლაზგოში „სელტიკისა" და „გლაზგო რეინჯერსის" მატჩის დროს უბედური შემთხვევის გამო დაღუპულთა ოჯახებს.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ქალთა ფეხბურთი სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა შეხვედრები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელთა შორის. სწორედ ისე, როგორც ვაჟთა შორის ხდება.

◆ **ბევერვიიკი**, 26 იანვარი. აქ მიმდინარე „ხოგოვენ-ტურნირის" XI ტურში შეჯიბრების ლიდერმა — ახალგაზრდა შვედმა მოჭადრაკე ანდერსონმა ოლაფსონთან (ისლანდია) გადადო პარტია და 7 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს. ლიდერს მხარში ამოუდგნენ გლიგორიჩი და ივკოვი: პირველმა შავებით დაამარცხა ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), მეორემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პეტროსიანთან. იუგოსლაველ დიდოსტატებსაც 7-7 ქულა აქვთ. კორჩნოისა და ოლაფსონს 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ (ლენინგრადელს — ჰოლანდიელ რეესთან). 6,5-6,5 ქულა დაუგროვდათ პეტროსიანსა და ჰორტს. შემდეგ მოდიან: ჰიუბნერი — 6, მეკინგი — 5,5, დონერი — 5 (1), ლენდიელი — 5, ლანგევეგი — 4,5, რეე — 4 (1), ნაიდორფი — 3 (1), კუიპერსი — 3, ბერგი — 2. XI ტურში ჰიუბნერმა მოუგო ლანგევეგს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: მეკინგი—ლენდიელი, კუიპერსი — ბერგი. IX ტურის გადადებულ პარტიაში დონერმა სძლია ლენდიელს.

[illegible]
გაზეთი
[illegible]
[illegible]
[illegible] ... 19^{45}

◆ **ამსტერდამი**, 26 იანვარი. „ხოგოვენ-ტურნირის" პარალელურად აქ მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში VII ტურის შემდეგ წინ არიან ივანკა (უნგრეთი), ვოკრალოვა (ჩეხოსლოვაკია) და ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — 5,5-5,5 ქულა. IV-V ადგილებს იყოფენ მოსკოველი კუშნირი და იოვანოვიჩი (იუგოსლავია). VII ტურში კუშნირი ლაზარევიჩს დაუზავდა.

◆ **დენვერი**, 26 იანვარი. ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრებთან ლას-ვეგასში გამართულ ოფიციალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები აქ რინგის მასპინძლებს ხუთ წონით კატეგორიაში შეხვდნენ და ახალ წარმატებას მიაღწიეს: მათ ოთხი ბრძოლა მოიგეს, აქედან სამი — ნოკაუტით. სარატოველმა ა. სემიონოვმა (48 კგ-მდე) 1 წუთსა და 6 წამში ნოკაუტში ჩააგდო ჯ. ტრუპილიო. მოსკოველმა ა. მელნიკოვმა (57 კგ-მდე) 2 წუთსა და 24 წამში „მოუღო ბოლო" ჩ. კორონადოს. კაუნასელმა ი. იუოციავიჩუსმა (75 კგ-მდე) 1 წუთსა და 49 წამში გაგზავნა ნოკაუტში ჯ. ფარელი. ტაშკენტელმა ნ. ხრომოვმა (60 კგ-მდე) ქულებით სძლია ს. როსს. მხოლოდ ერევნელი ს. ყაზარიანი (63,5 კგ-მდე) დამარცხდა: მან წააგო აშშ-ს ჩემპიონთან ლ. ბონძთან. აქ მყოფი დანარჩენი საბჭოთა მოკრივეები კენტუკის შტატში გამოვლენ.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უი 02733